ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №10

ქ. თბილისი 13 მარტი 2014 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი აბესაძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: კახაბერ ნიაური, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, დავით აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე.

მოწვეულები: კ. დეკანოიძე, გ. სულაბერიძე, ლ. ჩიქოვანი, თ. შანშიაშვილი, ლ. ხუხაშვილი, დ. არდაშელია, თ. გურგენიძე, გ. გურგენიძე, ნ. მაღალაშვილი, თ. დადიანი, ი. ეგაძე, ლ. ჩხაიძე, ილ. კეიდია, ნ. დვალიშვილი, ირ. კვარაცხელია, ზ. ვახტანგაძე, ო. გოგავა, ალ. სარალიძე, კ. მინდიაშვილი, ი. ლომსაძე, კ. კობალაძე, მ. კვესელავა, ვ. ცხვიტარია, ზ. მაისურაძე, ლ. სილაგაძე, მ. ბოლქვაძე, ო. ჯაფარიძე, ვ. ვარდანია, ზ. კალანდია, რ. მამედოვი, ა. ბლიაძე, მ. კაპანაძე, ნ. ხვედელიძე, ლ. ქეთელაური, კ. არაბიძე, მ. მირცხულავა, ივ. მირცხულავა, ზ. ჯიჯელავა, ქ. ბიწაძე, კ. ძლიერიშვილი, მ. აბულაძე, ბ. კალაძე, ბ. კორკიტი, მ. კორკიტი, გ. მუსაშვილი, ნ. სიხარულიძე, დ. გოგუაძე, ზ. ხარისჩარიშვილი, ნ. გელოვანი, ბ. ვაშაყმაძე, ზ. ნადირაძე, შ. ასათიანი, ხ. ქოლიშვილი, ზ. ბერუაშვილი, მ. ხაჩიძე, დ. სხირტლაძე, ბ. ბულაშვილი, კ. არველაძე, ზ. ქურდიანი, კ. ძლიერიშვილი, მ. აბულაძე, ნ. ასპანიძე, მ. ნიქაბაძე, მ. სიჭინავა, ვ. მაისაშვილი, ვ. სულგულაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

განმცხადებელი – ლ. სილაგაძე. AR 1203314.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,6, კ2=5,9.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. საბუთები დაამატოს.
- არ არის მისაღები. მასალა არ იძლევა მსჯელობის საშუალებას.
- არ არის მისაღები. მასალა არ იძლევა მსჯელობის საშუალებას.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. არ არის არქ-გეგმარებითი დასაბუთება.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. წარმოდგენილი მასალა საჭიროებს დახვეწას, რაც საკმარისს გახდიდა საკითხის განმეორებით განხილვას.

უარი ეთქვას ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №116–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.023.006) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 1, წინააღმდეგი: 6.

15. მ. ბოლქვაძის ინფორმაცია ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №22–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. მაღრაძე. AR 1203565.
დადგენილი პარამეტრები –კ2=3,5.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=8,8.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია მომიჯნავე ტერიტორიების პერსპექტიული განვითარების საშუალებები.
- არ არის მისაღები. აუცილებელია მთელი კვარტლის მოცვა, არ შეიძლება პასუხის გარეშე დავტოვოთ ხუთსართულიანი მოსახლეობის ინტერესები. პროექტში უნდა ჩაერთოს ორივე ხუთსართულიანი შენობაც, თუნდაც მათი განხორციელება გადაიდოს.

- არ არის მისაღები. საჭიროა როგორც ქალაქგეგმარებითი, ასევა სივრცით-კომპოზიციური გააზრება.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №22–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაღვროს: კ2=8,8.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.2007 წლის #7-14 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 20012 წლის 28 თებერვლის #06.11.162 და დგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 4, წინააღმდეგი: 3.

16. ვ. ვარდანიას ინფორმაცია ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ. I შესახვევის №9–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ზ. მალაზონია. AR 1201845.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ1=0,6, კ2=3,0.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=3,9.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქ. I შესახვევის №9–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განმცხადებელი –ვ. მაისაშვილი. AR 1203421.

ღადგენილი ზონის სახეობა – სარეკრეაციო ზონა 2.

მოთხოვნილი ზონის სახეობა – საცხოვრებელი ზონა 6.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. მსჯელობა შესაძლებელია, წარმოსადგენია სრული დასაბუთება ტრანსპორტის მოძრაობის სქემის გათვალისწინებით.
- არ არის მისაღები. შსაძლებელია ზონის ცვლილება, წარმოსადგენია დასაბუთება.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. მასალები არ იძლევა გადაწყვეტილების საშუალებას, საჭიროა დამატებითი მასლები.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია დამატებითი დასაბუთებული მასლა, რის შემდეგაც შესაძლებელია საკითხის განმეორებით განხილვა.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქ. №12–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.115) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის ნიკოლოზ (?) ... [illegible] ...სამე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი: ლევან გეგეშიძე

ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 589

" 20 " მარტი 2014 წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №22–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 13 მარტის სხდომის №10 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №22–ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=8,8.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებელისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში:GE56LB0125152101627896.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში

(მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე